№ 4-1/8 1520-20

"23" 10 2020 წ.

დადგენილება №000419
სამშენებლო სამართალდარღვევის
საქმეზე

23.10.2020წ. ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7

მე, მუნიციპალური ინსპექციის უფროსმა ლევან ჯღარკავამ განვიხილე, 2020 წლის 23 ოქტომბრის №000419 შემოწმების აქტი „სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყების შესახებ" შედგენილი, შ.პ.ს. „გეითვეი ჰოლდინგი"-ს (საიდენტიფიკაციო კოდი №204531499, დირექტორი – მაია რჩეულიშვილი (პირადი №01017003383), მის: ქ. თბილისი, ლესელიძის ქ. №30) მიმართ, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 132-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა" ქვეპუნქტის „ა.დ." ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დარღვევაზე და

გამოვარკვიე:

ქ. თბილისში, პეტრე იბერის ქ. №6, საკ. კოდი №01.10.06.001.115-ში (ყოფ. ქ. თბილისი, დიდი დიღომი, ტელევიზორების მშენებარე ქარხნის მიმდებარედ, საკ. კოდი №01.10.06.001.012) მრავალფუნქციური კომპლექსის №14 საცხოვრებელი სახლის მშენებლობა განხორციელებულია ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის №01/1702 27.11.2008წ. ბრძანებით შეთანხმებული კორექტირებული არქიტექტურული პროექტის (მშენებლობის სანებართვო მოწმობა №6/565-1 14.05.2009წ.) დარღვევით: ფასადზე შეცვლილია ლითონის მოაჯირების ნახატი, შეცვლილია ვიტრაჟების ფანჯრების და კარების ნახატი, გაბარიტი და ზოგს მონაცვლებული აქვს ადგილი. სადარბაზოს და ავტოსადგომის კარების თავზე დამატებულია გისოსები, აღნიშნული კარების წინ გაუქმებულია კიბის საფეხურები. დამატებულია კონდინციონერი და სატელიტური ანტენები, გათბობის ქვაბები, დამატებულია წყლის მილები და გამწოვი ღიობები. ფასადი 1-13 ღერძებში: -0.05 ნიშნულზე 5-6 მონაკვეთში გაუქმებულია ორი ფანჯრის ღიობი. ფასადი 13-1 ღერძებში: +3.60 ნიშნულზე 5-2 მონაკვეთში კარის და ფანჯრის ღიობებზე დამატებულია გისოსები. 1-13 და 13-1 ფასადებზე 5-6; 11-12 და 8-9 მონაკვეთებში შენობის მთელ აყოლებაზე ფანჯრის ღიობები ჩამოწეულია ქვემოთ. კედლებზე შეღებვა შელესვის ნაცვლად შესრულებულია ცემენტის ხსნარით შეფრქვევა (ბრიზგი) და ღებვა არ ემთხვევა საპროექტოს. -3.30 ნიშნულზე შეცვლილია ზოგი პილონის ფორმა. 11-12 შეცვლილია კუთხის ფორმა. კოლონები გადმოწეულია კედლის სიბრტყიდან. დამატებული მონოლითური კედლები 7-9 მონაკვეთში მომატებულია ფართი. +0.00 ნიშნულზე სადარბაზოებში და კიბის უჯრედებში შეცვლილია საფეხურები. სახურავზე შეცვლილია სამანქანოების ფორმა და

გაბარიტები, ასევე ღიობები და გადახურვა არ ემთხვევა საპროექტოს. დამატებულია აივნების თავზე გადახურვა და კაპიტალური მოაჯირი. ფართი მომატებულია 21მ²-ით. შემცირებულია სადარბაზოების ფართი და გაბარიტი. შეცვლილია მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი და ფართი.

2020 წლის 23 ოქტომბერს, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 123-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ვ" ქვეპუნქტის საფუძველზე, სამსახურის სპეციალისტის მიერ შედგა შემოწმების აქტი №000419 „სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყების შესახებ." საქმეშია, შ.პ.ს. „გეითვეი ჰოლდინგი"-ს №10/012029729l0-17 23.10.2020წ. განცხადება; ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 1 ოქტომბრის განკარგულება №275 „ქ. თბილისში, პეტრე იბერის ქ. №6 კორპუსი 14 (საკ. კოდი №01.10.06.001.115) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის შესრულების მიზნით, შ.პ.ს. „ცენტრ პოინტი ჯგუფი"-ს (ს/ნ 204460957) და შ.პ.ს. „გეითვეი ჰოლდინგის" (ს/ნ 204531499) მიმართ ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე."

აღსანიშნავია, რომ 2019 წლის 3 დეკემბრიდან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ვრცელდება საქართველოს კანონი „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი" (სარეგისტრაციო კოდი №330090000.05.001.019104; გამოქვეყნების თარიღი 13.08.2018წ.). მოქმედი კანონმდებლობის, კერძოდ, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 132-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა" ქვეპუნქტის „ა.დ." ქვეპუნქტის თანახმად, ზემოაღნიშნულ სამართალდარღვევაზე გათვალისწინებულია ჯარიმა 15 000 (თხუთმეტი ათასი) ლარის ოდენობით. მოცემულ შემთხვევაში, სამშენებლო სამუშაოები განხორციელებულია როგორც საქართველოს კანონის "საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 132-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "ა" ქვეპუნქტის "ა.დ." ქვეპუნქტის, ასევე, საქართველოს კანონში „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ში 2018 წლის 7 მარტს შესული №2051-IIს ცვლილებების (სარეგისტრაციო კოდი №240110000.05.001.018779; გამოქვეყნების თარიღი 21.03.2018წ.) ამოქმედებამდე, რაც დასტურდება ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2009 წლის 14 მაისის მშენებლობის ნებართვო მოწმობით №6/561-1, რომლითაც მშენებლობის ვადა განსაზღვრული იყო 2009 წლის 20 მაისიდან 2010 წლის 20 ნოემბრამდე, ხოლო საქართველოს კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ" 47-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად: „ნორმატიულ აქტს, რომელიც ადგენს ან ამძიმებს პასუხისმგებლობას, უკუძალა არა აქვს", შესაბამისად არ არსებობს გაზრდილი საჯარიმო თანხის დაკისრების სამართლებრივი საფუძველი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან შ.პ.ს. „გეითვეი ჰოლდინგი"-ს მიერ, ჩადენილია საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 132-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა" ქვეპუნქტის „ა.დ." ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამშენებლო სამართალდარღვევა, კერძოდ, ქ. თბილისში, პეტრე იბერის ქ. №6, საკ. კოდი №01.10.06.001.115-ში (ყოფ. ქ. თბილისი, დიდი დიღომი, ტელევიზორების მშენებარე ქარხნის მიმდებარედ, საკ. კოდი №01.10.06.001.012) მრავალფუნქციური კომპლექსის №14 საცხოვრებელი სახლის მშენებლობა განხორციელებულია ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის №01/1702 27.11.2008წ. ბრძანებით შეთანხმებული კორექტირებული არქიტექტურული პროექტის (მშენებლობის სანებართვო მოწმობა №6/565-1 14.05.2009წ.) დარღვევით.

ვიხელმძღვანელე რა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავით, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ", საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 122-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 125-ე მუხლის მე-4 ნაწილით, 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 128-ე მუხლის მე-3 ნაწილით და 132-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა" ქვეპუნქტის „ა.დ." ქვეპუნქტი

დავადგინე:

1. შ.პ.ს. **„გეითვეი ჰოლდინგი"** დაჯარიმდეს 4 000 (ოთხი ათასი) ლარით, ქ. თბილისში, პეტრე იბერის ქ. №6, საკ. კოდი №01.10.06.001.115-ში (ყოფ. ქ. თბილისი, დიდი დიღომი, ტელევიზორების მშენებარე ქარხნის მიმდებარედ, საკ. კოდი №01.10.06.001.012) პროექტის დარღვევით IV კლასის ობიექტის (მრავალფუნქციური კომპლექსის №14 საცხოვრებელი სახლი) მშენებლობისთვის;

2. შ.პ.ს. **„გეითვეი ჰოლდინგი"-ს** დაევალოს, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ჯარიმა გადაიხადოს ბიუჯეტის სასარგებლოდ დაჯარიმების შესახებ დადგენილების ჩაბარებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში:

საჯარიმო თანხა ჩაირიცხოს შემდეგ ანგარიშზე - **მიმღების დასახელება:** ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, **მიმღების ბანკი:** სახელმწიფო ხაზინა, **ბანკის კოდი: TRESGE22, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 300773263, გადახდის დანიშნულება:** დადგენილების ნომერი სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე.

3. საჯარიმო თანხის ნებაყოფლობით გადახდის შემთხვევაში, **შ.პ.ს. „გეითვეი ჰოლდინგი"-ს** დაევალოს, შესაბამისი გადახდის ქვითრის წარმოდგენა.

4. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 126-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, სამშენებლო სამართალდამრღვევს დაერიცხება საურავი სამშენებლო სამართალდამრღვევის დაჯარიმების შესახებ დადგენილებით განსაზღვრული საჯარიმო თანხის ოდენობით.

5. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 126-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის დაკისრების საფუძვლების აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, მისი დაკისრებიდან ყოველი სამი თვის შემდეგ, სამშენებლო სამართალდამრღვევი ჯარიმდება თავდაპირველად დაკისრებული ჯარიმით გათვალისწინებული საჯარიმო თანხის სამმაგი ოდენობით, რომელიც მას შეიძლება დაეკისროს არაუმეტეს სამჯერ.

6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი გაცნობიდან 15 კალენდარული დღის ვადაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7).

მუნიციპალური ინსპექციის
უფროსი

ლევან ჯღარკავა

ტერაბანკი
terabank

საკრედიტო საგადახდო დავალება N 1

თარიღი / Date 26/10/2020

გადამხდელი: პაატა სვანიძე, 01003021229

საიდენტ. კოდი: **01003021229**
გადამხდელის ბანკი: სს "ტერაბანკი"

ანგარიში: **GE52KS0003601011903701**
ბანკის კოდი: **TEBAGE22**

ინფორმაცია პირზე, რომლის მაგივრადაც სრულდება გადახდა
დასახელება: **პაატა სვანიძე, 01003021229**
საიდენტ. კოდი/პირადი ნომერი: **01003021229**

Copy

მიმღები: **ხაზინის ერთიანი ანგარიში. სხვა შემოსულობები (თვითმმართველი ქალაქი თბილ**
მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი: **300773263**
მიმღები ბანკი/ხაზინა: **ქ.თბილისი, "სახელმწიფო ხაზინა"**
ბანკის კოდი: **TRESGE22**

გადახდის დანიშნულება: **შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ - სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო**
დამატებითი ინფორმაცია: **სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე დადგენილებაN 000419 , მისამართი პეტრე იბერის N 6 კორპუსი 14**

თანხა: 4000 GEL

თანხა სიტყვებით
ოთხი ათასი ლარი 00 თეთრი

ბანკის აღნიშვნები
ბანკში შემოსვლის თარიღი:
10/24/2020
შესრულების თარიღი:
10/26/2020
ხელმოწერა: _____

ს.ს. "ტერაბანკი" საოპერაციო განყოფილება TEBAGE22 7

შტამპის ადგილი

ხელმოწერა: _____

"ვადასტურებ, რომ სრულად ვიცნობ ბანკის ვებ-გვერდზე www. Terabank.ge განთავსებულ სს „ტერაბანკის“ საბანკო მომსახურების სტანდარტულ პირობებს და ვეთანხმები მათ, რითაც მათ შორის ბანკს ვაძლევ უფლებას აღნიშნული პირობებით გათვალისწინებული წესით დაამუშაოს კლიენტის პერსონალური ინფორმაცია. თუ წინამდებარე საგადახდო დავალებით ხდება ერთჯერადი გადახდის ოპერაცია, ვადასტურებ, რომ წარმოვადგენ არამეწარმე ფიზიკურ პირს (ვრცელდება მხოლოდ ფიზიკურ პირებზე)."

"I confirm that I am fully aware and accept the standard terms and conditions for JSC Terabank's banking services, published on the website www. Terabank.ge, thereby giving consent to the bank to process personal data of the client in accordance with those terms and conditions. In case performing single payment based on the present payment order, I further certify that I am non-entrepreneurial physical person (applies to individuals only)."

Iscthezipcommerce Bulgaria – s/s GE88BG0000000121204800

ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან

განაცხადის ნომერი:	513418
განაცხადის რეგისტრაციის ნომერი:	B12090040
ამონაწერის მომზადების თარიღი:	19/07/2012 09:39:01

სუბიექტი

საფირმო სახელწოდება:	შპს ევრომშენი
იურიდიული მისამართი:	საქართველო, ქ. თბილისის სამგორის რაიონში, ენუქიძის,№9
საიდენტიფიკაციო კოდი:	208156494
სამართლებრივი ფორმა:	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი:	22/10/1996
სახელმწიფო რეგისტრაციის ნომერი:	7ა/4-304
მარეგისტრირებელი ორგანო:	სამგორის რ-ის სასამართლო
საგადასახადო ინსპექცია:	თბილისის რეგ.ცენტრი ისანი-სამგორის გ-ბა

ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირები

- 01011009763, ავთანდილ ნეფარიძე,
  დირექტორი, ,

პარტნიორები

	წილი	ანგარიშის ნომერი
01011009763, ავთანდილ ნეფარიძე,	75.00000000%	208156494-SH-00001
6377341, , , სამად ფანაჰი, ირანი (ისლამური რესპუბლიკა),	25.00000000%	208156494-SH-00003

ყადაღა/აკრძალვა:

- ყადაღა: 102012169599 11/07/2012 12:46:58
  შ.პ.ს. ევრომშენი ს/ნ 208156494
  საგანი: უძრავი ნივთი: ქალაქი თბილისი, დიდი დიღომი, ტელევიზორების მშენებარე ქარხნის მიმდებარედ, სადარბაზო 1,სართული 6, ბინა 15,

01.18.06.001.120.01.01.015

საფუძველი: მომართვა, N57708, 10.07.2012, თბილისის სააღსრულებო ბიურო

საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება:

- საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა102012089677 12/04/2012 13:12:52

  შპს ევრომშენი ს/ნ 208156494

  საგანი: მთელი ქონება, მთელი ქონება

  საფუძველი: შეტყობინება, N0077019, 12.04.2012, თბილისის რეგიონული ცენტრი "ისანი-სამგორის" გ-ბა

მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე გირავნობა/ლიზინგის უფლება:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში, შესაძლებელია სარეგისტრაციო სამსახურში მოსვლის გარეშე, ელექტრონულად წარმოადგინოთ განცხადება: http://public.reestri.gov.ge ან დაგვიკავშირდეთ: 2 405 405; 595 33 71 81; შესწორებული ამონაწერის მიღება შეგიძლიათ ვებ გვერდზე, ელექტრონულად, ასევე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურსა და ლიბერთი ბანკის ნებისმიერ ფილიალში.

საქმე #2/16574-12

ს ა ა ღ ს რ უ ლ ე ბ ო ფ უ რ ც ე ლ ი

15.07.2013 წელი

ქ. თბილისი

თბილისის საქალაქო სასამართლო
მოსამართლე ეკატერინე ცისკარიძე

მოსარჩელე წარმომადგენელი — შპს ,,ევრომშენი" მიხეილ ქებურია

მოპასუხეები — 1. შპს ,,დიდი დიღმის ოაზისი"
2. შპს ,,კაპიტალ პროფერთი"

წარმომადგენელი — გიორგი გვენეტაძე

წარმომადგენლები - 3. შპს ,,წყნეთი ჰაუსი"
ნანა ამისულაშვილი, თათია ფურცელაძე

დავის საგანი — ფულადი ვალდებულების შესრულება თბილისის საქალაქო სასამართლო, სამოქალაქო საქმეთა კოლეგია

22 მარტი, 2013 წ.
გადაწყვეტილების (განჩინების) გამომტანი სასამართლო, გამოტანის თარიღი

გადაწყვეტილების (განჩინების) სარეზოლუციო ნაწილი:

1. შპს ,,ევრომშენის" სარჩელი დაკმაყოფილდეს.

1.1. დაეკისროს მოპასუხე შპს ,,წყნეთი ჰაუსს" შპს ,,ევრომშენის" სასარგებლოდ დავალიანების თანხის **564446,14** ლარის გადახდა.

1.2. დაეკისროს მოპასუხე შპს ,,დიდი დიღმის ოაზისს" შპს ,,ევრომშენის" სასარგებლოდ დავალიანების თანხის **136 558** ლარის ოდენობით.

1.3. დაეკისროს მოპასუხე შპს ,,კაპიტალ ფროფერთის" შპს ,,ევრომშენის"

სასარგებლოდ **86917,49 ლარის გადახა,** საიდანაც **79 015,9 ლარი ძირი თანხაა, ხოლო 7901,59 ლარი** პირგასამტეხლო.

2. მოპასუხე შპს ,,წყნეთი ჰაუსს" შპს ,,ევრომშენის" სასარგებლოდ დაეკისროს 3600 ლარის გადახდა სარჩელზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ანაზღაურების მიზნით.

3. მოპასუხე შპს ,,დიდი დიღმის ოაზისს" შპს ,,ევრომშენის" სასარგებლოდ დაეკისროს 850 ლარის გადახდა სარჩელზე გადახდილი სახელმიწფო ბაჟის ანაზღაურების მიზნით.

4. მოპასუხე შპს ,,კაპიტალ ფროფერთის" შპს ,,ევრომშენის" სასარგებლოდ დაეკისროს 550 ლარის გადახდა სარჩელზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ანაზღაურების მიზნით.

გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის თარიღი:02.07.2013

კრედიტორის დასახელება და რეკვიზიტები:
შპს ევრომშენი **(ს/კ 208156494)**
მისამართი: ქ. თბილისი ენუქიძის 9

მოვალის დასახელება და რეკვიზიტები:
შპს ,,დიდი დიღმის ოაზისი" **(ს/კ 211361881)**
მისამართი: ქ.თბილისი, დ.აღმაშენებლის გამზ №150

შპს წყნეთი ჰაუსი **(ს/კ 205193011)**
მისამართი: თბილისი, ჯიქიას 7
მისამართი: თბილისი, აღმაშენებლის #9

შპს ,,კაპიტალ პროფერთი" **(ს/კ 404384055)**
მისამართი: ქ. თბილისი აღმაშენებლის გამზ#150
მისამართი: თბილისი, მარჯანიშვილის #6

სააღსრულებო ფურცლის გაცემის თარიღი 15.07.2013 წელი.

მოსამართლე: ეკატერინე ცისკარიძე

საქმე №2/16574 - 12

გადაწყვეტილება
საქართველოს სახელით

22 მარტი, 2013 წ. თბილისი

შესავალი ნაწილი

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია

მოსამართლე ეკატერინე ცისკარიძე
სხდომის მდივანი გიორგი კვერნაძე

მოსარჩელე შპს ,,ევრომშენი"
წარმომადგენელი მიხეილ ქებურია

მოპასუხეები 1. შპს ,,დიდი დიღმის ოაზისი"
2. შპს ,,კაპიტალ პროფერთი"
წარმომადგენელი გიორგი გვენეტაძე
3. შპს ,,წყნეთი ჰაუსი"
წარმომადგენლები - ნანა ამისულაშვილი, თათია ფურცელაძე

დავის საგანი ფულადი ვალდებულების შესრულება

აღწერილობითი ნაწილი:

1. სასარჩელო მოთხოვნა

1.1. მოპასუხე შპს ,,წყნეთი პაუსს" შპს ,,ევრომშენის" სასარგებლოდ დაეკისროს 564446,14 ლარის გადახდა.
1.2. მოპასუხე შპს ,,დიდი დიღმის ოაზისის" შპს ,,ევრომშენის" სასარგებლოდ დაეკისროს 136558 ლარის გადახდა.
1.3. დაეკისროს შპს ,,კაპიტალ ფროფერთის" შპს ,,ევრომშენის" სასარგებლოდ 79 015,9 ლარის და 7901,59 ლარის გადახდა.

2. მოპასუხის პოზიცია
2.1 მოპასუხეები სარჩელს არ ცნობენ

3. ფაქტობრივი გარემოებები

3.1. უდავო ფაქტობრივი გარემოებები

3.1.1. 2011 წლის 04 ივლისს შპს ,,დიდი დიღმის ოაზისს" და შპს ,,ევრომშენს" შორის დაიდო ხელშეკრულება სამშენებლო სამუშაოების შესრულების თაობაზე, რომლის მიხედვითაც, შემსრულებელმა შპს ,,ევრომშენმა" აიღო ვალდებულება, შეასრულოს შპს ,,დიდი დიღმის ოაზისის" კუთვნილ ქ. თბილისში, დიდ დიღომში, მშენებარე საცხოვრებელი კვარტლის №3 კორპუსის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების დასრულება, წინამდებარე ხელშეკრულების თანდართული ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად. ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების მთლიანი ღირებულება შეადგენდა 811 165,4 ლარს. ჩასატარებელი სამუშაოების ჩამონათვალი მოცემულია ხარჯთაღრიცხვაში, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების დანართს.

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:
- 2011 წლის 04 ივლისის ხელშეკრულება სამშენებლო სამუშაოების შესრულების თაობაზე (ს.ფ. 148-155).

3.1.7. 2011 წლის 06 ივნისს შპს ,,დიდი დიღმის ოაზისს" და შპს ,,ევრომშენს" შორის დაიდო ხელშეკრულება სამშენებლო სამუშაოების შესრულების თაობაზე, რომლის მიხედვითაც, შემსრულებელმა შპს ,,დიდი დიღმის ოაზისმა" აიღო ვალდებულება შეასრულოს შპს ,,დიდი დიღმის ოაზისის" კუთვნილ ქ. თბილისში, დიდ დიღომში მშენებარე საცხოვრებელი კვარტლის №4 კორპუსის სამშენებლო სამუშოები სამი სართულის დამატების გათვალისწინებით, ხელშეკრულების თანდართული ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად. ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების მთლიანი ღირებულება შეადგენს 1 109 894,8 ლარს.

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:
- 2012 წლის 06 ივნისის სამშენებლო სამუშაოების შესრულების შესახებ ხელშეკრულება (ს.ფ.156-163).

3.1.8 2010 წლის 09 მარტს შპს ,,დიდი დიღმის ოაზისს" და შპს ,,ევრომშენის" შორის გაფორმდა სამშენებლო სამუშაოების შესრულების თაობაზე ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც შპს ,,დიდი დიღმის ოაზისმა" აიღო ვალდებულება შეასრულოს შპს ,,დიდი დიღმის ოაზისის" კუთვნილ მშენებარე საცხოვრებელ №2 კორპუსზე დარჩენილი სამშენებლო სამუშაოები, წინამდებარე

ხელშეკრულების თანდართული ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად. ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების მთლიანი ღირებულება შეადგენს 1 055 137,45 ლარს.

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:
- 2012 წლის 06 ივნისის სამშენებლო სამუშაოების შესრულების შესახებ ხელშეკრულება (ს.ფ. 164-174).

3.1.9. 2010 წლის 16 დეკემბერს შპს ,,დიდი დიღმის ოაზისს" და შპს ,,ევრომშენს" შორის დაიდო ნარდობის ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც შემსრულებელმა შპს ,,ევრომშენმა" აიღო ვალდებულება შეესრულებინა სამუშაოები დიდ დიღომში, მშენებარე ქარხნის მიმდებარედ, შპს ,,დიდი დიღმის ოაზისის" მშენებარე საცხოვრებელი კვარტლის №1 კორპუსის წინ გალერეის მოწყობასთან დაკავშირებით, ხოლო დამკვეთს შპს ,,დიდი დიღმის ოაზისს" უნდა გადაეხადა გაწეული მომსახურების სანაცვლოდ შესაბამისი ანაზღაურება. აღნიშნული ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 247 776 ლარს. (4.1 მუხლი)

2011 წლის 29 იანვარის შეთანხმებით, რომლითაც 2010 წლის 16 დეკემბერს დადებულ ნარდობის ხელშეკრულებაში შევიდა ცვლილება და ხსენებული ხელშეკრულების ღირებულება განისაზღვრა 238 245.8 ლარით. გაუთვალისწინებელი ხარჯებისთვის კი განისაზღვრა სარეზერვო თანხა 9 529,83 ლარის ოდენობით.

2011 წლის 28 მარტის შეთანხმებით, რომლითაც 2010 წლის 16 დეკემბერს გაფორმებულ ნარდობის ხელშეკრულებაში შევიდა ცვლილება და შემსრულებელმა ხსენებული ხელშეკრულების 1.1. პუნქტში გათვალისწინებული სამუშაოების გარდა აიღო ვალდებულება შეესრულებინა №1 და №5 კორპუსების და გალერეის მიმდებარე ტერიტორიაზე - კეთილმოწყობის სამუშაოები. დამატებით წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად დამკვეთს უნდა გადაეხადა 89 830 ლარი.

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:
- 2010 წლის 16 დეკემბრის ნარდობის ხელშეკრულება (ს.ფ. 175-178).
- 2011 წლის 29 იანვრის შეთანხმება ნარდობის ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის შესახებ. (ს.ფ. 180)
- 2011 წლის 28 მარტის შეთანხმება ნარდობის ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ. (ს.ფ. 18)

3.1.10. 2011 წლის 11 აპრილს შპს ,,დიდი დიღმის ოაზისს" და შპს ,,ევრომშენს" შორის დაიდო ნარდობის ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც, შემსრულებელმა შპს ,,ევრომშენმა" აიღო ვალდებულება შეესრულებინა სამუშაოები ქ. თბილისში, დიდი დიღომში, ტელევიზორების მშენებარე ქარხნის

მიმდებარედ, შპს ,,დიდი დიღმის ოაზისი"-ს მშენებარე საცხოვრებელ კვარტლის №1 კორპუსის წინ ქალაქის ტროტუარის ახალი საფარის 405 კვ.მ ფართზე მოწყობასთან დაკავშირებით. ხოლო დამკვეთს შპს ,,დიდი დიღმის ოაზისს" უნდა გადაეხადა გაწეული მომსახურების სანაცვლოდ შესაბამისი ანაზღაურება. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 10125 ლარს.

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:
- 2011 წლის 11 აპრილის ნარდობის ხელშეკრულება (ს.ფ.182-185).

3.1.11. 2010 წლის 26 ოქტომბერს შპს ,,დიდი დიღმის ოაზისს" და შპს ,,ევრომშენს" შორის დაიდო ხელშეკრულება სამშენებლო სამუშაოების თაობაზე, რომლის მიხედვითაც, შემსრულებელმა შპს ,,ევრომშენმა" აიღო ვალდებულება შეესრულებინა სამუშაოები ქ. თბილისში, დიდი დიღომში, ტელევიზორების მშენებარე ქარხნის მიმდებარედ, წინამდებარე ხელშეკრულების დანართად წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვების შესაბამისად. ხოლო შპს ,,დიდი დიღმის ოაზისს" უნდა გადაეხადა გაწეული მომსახურების სანაცვლოდ შესაბამისი ანაზღაურება. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 472921 ლარს.

2010 წლის 27 დეკემბერის შეთანხმებით, 2010 წლის 26 ოქტომბერს დადებულ ხელშეკრულებაში შევიდა ცვლილება. კერძოდ, შპს ,,ევრომშენმა" აიღო ვალდებულება დიდ დიღომში, მშენებარე ქარხნის მიმდებარედ, შპს ,,დიდი დიღმის ოაზისისი" მშენებარე საცხოვრებელი კვარტლის №1 კორპუსის გამორჩენილი სამუშაოები შეასრულოს 2010 წლის 23 დეკემბრის დეფექტური აქტის საფუძველზე, ხოლო დამკვეთი გაწეული მომსახურების სანაცვლოდ გადაუხდის შესაბამის ანაზღაურებას. აღნიშნული შეთანხმების ღირებულება მხარეთა შორის განისაზღვრა 57 267 ლარით.

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:
- 2010 წლის 26 ოქტომბრის ხელშეკრულება სამშენებლო სამუშაოების შესრულების თაობაზე (ს.ფ.190-194).
- 2010 წლის 27 დეკემბრის შეთანხმება 2010 წლის 26 ოქტომბერს გაფორმებულ სამშენებლო სამუშაოების შესახებ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის შესახებ (ს.ფ.188-189)

3.1.12. 2010 წლის 26 ნოემბერს შპს ,,დიდი დიღმის ოაზისს" და შპს ,,ევრომშენს" შორის დაიდო ხელშეკრულება სამშენებლო სამუშაოების თაობაზე, რომლის მიხედვითაც, შემსრულებელმა შპს ,,ევრომშენმა" აიღო ვალდებულება შეესრულებინა სამუშაოები ქ. თბილისში, დიდი დიღომში, ტელევიზორების მშენებარე ქარხნის მიმდებარედ, წინამდებარე ხელშეკრულების დანართად (დანართი №1 და დანართი №1.1) წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვების შესაბამისად), ასევე, შემსრულებელი ვალდებულია განახორციელოს №1 და №5 კორპუსების დამთავრებისათვის აუცილებელი სამშენებლო და საინჟინრო

კომუნიკაციების მოწყობის სამუშაოები. ხოლო დამკვეთს შპს ,,დიდი დიღმის ოაზისს" უნდა გადაეხადა გაწეული მომსახურების სანაცვლოდ შესაბამისი ანაზღაურება. ხელშეკრულების ღირებულება შეადნეს 432652 ლარს.

2011 წლის 28 აპრილის შეთანხმებით 2010 წლის 26 ნოემბერის ხელშეკრულებაში შევიდა ცვლილება. კერძოდ, შემსრულებელმა აიღო ვალდებულება, თბილისში, დიდ დიღომში, მშენებარე საცხოვრებელი კვარტლის №1 კორპუსზე დამატებით განახორციელოს დროებითი ღობის მოწყობის, ეზოს ნაწილის მოშანდაკებისა და პირველი სართულის გადაღებვითი სამუშაოები ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად. აღნიშნული სამუშაოების მთლიანი ღირებულა განისაზღვრა 35 689 ლარით.

2011 წლის 07 მარტის შეთანხმებით 2010 წლის 26 ნოემბერის ხელშეკრულებაში შევიდა ცვლილება. კერძოდ, შემსრულებელმა დამატებით აიღო ვალდებულება მეტალოპლასტიკის კარ-ფანჯრის რემონტის, საკეტების გამოცვლის, შემინვის, ტიხრებისა და სახურავზე პემზის შრის მოწყობისათვის საჭირო სამუშაოების შესრულებასთან დაკავშირებით. აღნიშნული სამუშაოები უნდა შესრულებულიყო ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად და დამატებითი სამუშაოების ღირებულება განისაზღვრა 67 140,9 ლარით.

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- 2010 წლის 26 ნოემბრის ხელშეკრულება სამშენებლო სამუშაოების თაობაზე (ს.ფ. 195-199)
- 2011 წლის 28 აპრილის შპს ,,დიდი დიღმის ოაზისს" და შპს ,,ევრომშენს" შორის გაფორმებული შეთანხმება (ს.ფ. 186)
- 2011 წლის 07 მარტის შპს ,,დიდი დიღმის ოაზისს" და შპს ,,ევრომშენს" შორის გაფორმებული შეთანხმება (ს.ფ. 187).

3.1.13. შპს ,,დიდი დიღმის ოაზისს" და შპს ,,ევრომშენს" შორის 2010 წლის 22 ნოემბერს შედგა შესრულებული სამუშაოს აქტი №1, რომლის მიხედვითაც სამუშაოები შესრულდა ობიექტზე საცხოვრებელი კორპუსი №1 ,,დიდი დიღმის ოაზისი". შესრულებული სამუშაოს აქტის შესაბამისად, მშენებლობაზე გაწეულმა ხარჯმა ჯამში შეადგინა 229282 ლარი.

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- 2011 წლის 22 ნოემბერს შედგენილი შესრულებული სამუშაოს აქტი №1 (ს.ფ.76-77).

3.1.14. შპს ,,დიდი დიღმის ოაზისს" და შპს ,,ევრომშენს" შორის 2010 წლის 24 დეკემბერს შედგა შესრულებული სამუშაოს აქტი №2, რომლის მიხედვითაც სამუშაოები შესრულდა ობიექტზე საცხოვრებელი კორპუსი №1 ,,დიდი დიღმის ოაზისი". სახარჯთაღრიცხვო ღირებულება განსაზღვრული იყო 472 921 ლარით, ხოლო შესრულებული სამუშაოების ღირებულება წინამდებარე აქტის გარეშე

შეადგენდა 229282 ლარს. შესრულებული სამუშაოს აქტის შესაბამისად, მშენებლობაზე გაწეულმა ხარჯმა ჯამში შეადგინა 119773 ლარი.

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:
- 2010 წლის 22 ნოემბერს შედგენილი შესრულებული სამუშაოს აქტი №1 (ს.ფ.79-80).

3.1.15. შპს ,,დიდი დიღმის ოაზისს" და შპს ,,ევრომშენს" შორის 2010 წლის 24 დეკემბერს შედგა შესრულებული სამუშაოს აქტი №2, რომლის მიხედვითაც სამუშაოები შესრულდა ობიექტზე საცხოვრებელი კორპუსი №1 ,,დიდი დიღმის ოაზისი". სახარჯთაღრიცხვო ღირებულება განსაზღვრული იყო 472 921 ლარით, ხოლო შესრულებული სამუშაოების ღირებულება წინამდებარე აქტის გარეშე შეადგენდა 229282 ლარს. შესრულებული სამუშაოს აქტის შესაბამისად, მშენებლობაზე გაწეულმა ხარჯმა ჯამში შეადგინა 119773 ლარი.

შპს ,,დიდი დიღმის ოაზისს" და შპს ,,ევრომშენს" შორის 2010 წლის 24 დეკემბერს შედგა შესრულებული სამუშაოს აქტი №1, დამატებითი სამუშაოების (დეფექტური აქტის მიხედვით) რომლის შესაბამისად სამუშაოები შესრულდა ობიექტზე საცხოვრებელი კორპუსი №1 ,,დიდი დიღმის ოაზისი" (II ეტაპი). შესრულებული სამუშაოს აქტის მიხედვით. მშენებლობაზე გაწეულმა ხარჯმა ჯამში შეადგინა 57267 ლარი.

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:
- 2010 წლის 24 დეკემბერს შედგენილი შესრულებული სამუშაოს აქტი №2 (ს.ფ.79-80).
- 2010 წლის 24 დეკემბერს შედგენილი შესრულებული სამუშაოს აქტი №1 (ს.ფ.82-83).

3.1.15. შპს ,,დიდი დიღმის ოაზისს" და შპს ,,ევრომშენს" შორის 2011 წლის 28 თებერვალს შედგა შესრულებული სამუშაოს აქტი №3 2010 წლის 26 ოქტომბრის ხელშეკრულებასთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც სამუშაოები შესრულდა საცხოვრებელი კომპლექსზე №1 ,,დიდი დიღმის ოაზისი". სახარჯთაღრიცხვო ღირებულება განსაზღვრული იყო 472 921 ლარით, ხოლო შესრულებული სამუშაოების ღირებულება წინამდებარე აქტის გარეშე შეადგენდა 349055 ლარს. შესრულებული სამუშაოს აქტის შესაბამისად, მშენებლობაზე გაწეულმა ხარჯმა ჯამში შეადგინა 123861 ლარი.

შპს ,,დიდი დიღმის ოაზისს" და შპს ,,ევრომშენს" შორის 2011 წლის 28 თებერვალს შედგა შესრულებული სამუშაოს აქტი №6 2010 წლის 26 ნოემბრის ხელშეკრულებასთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც სამუშაოები შესრულდა საცხოვრებელ კომპლექსზე ,,დიდი დიღმის ოაზისი" №1. სახარჯთაღრიცხვო ღირებულება განსაზღვრული იყო 432 652 ლარით, ხოლო

შესრულებული სამუშაოების ღირებულება წინამდებარე აქტის გარეშე შეადგენდა 405 318 ლარს. შესრულებული სამუშაოს აქტის შესაბამისად, მშენებლობაზე გაწეულმა ხარჯმა ჯამში შეადგინა 14679 ლარი.

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:
- 2011 წლის 28 თებერვალს შედგენილი შესრულებული სამუშაოს აქტი №1 (ს.ფ.85).
- 2011 წლის 28 თებერვალს შედგენილი შესრულებული სამუშაოს აქტი №6 (ს.ფ.98)

3.1.16. შპს ,,დიდი დიღმის ოაზისს" და შპს ,,ევრომშენს" შორის 2011 წლის 28 იანვარს შედგა შესრულებული სამუშაოს აქტი №1, რომლის მიხედვითაც სამუშაოები შესრულდა საცხოვრებელ კომპლექსზე ,,დიდი დიღმის ოაზისი" №5. სახარჯთაღრიცხვო ღირებულება განსაზღვრული იყო 130248 ლარით. შესრულებული სამუშაოს აქტის შესაბამისად, მშენებლობაზე გაწეულმა ხარჯმა ჯამში შეადგინა 116847 ლარი.

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:
- 2011 წლის 28 იანვარს შედგენილი შესრულებული სამუშაოს აქტი №1 (ს.ფ.93-96).

3.1.17. შპს ,,დიდი დიღმის ოაზისს" და შპს ,,ევრომშენს" შორის 2011 წლის 28 აპრილს შედგა შესრულებული სამუშაოს აქტი, რომლის მიხედვითაც სამუშაოები შესრულდა საცხოვრებელ კომპლექსზე ,,დიდი დიღმის ოაზისი" №1. სახარჯთაღრიცხვო ღირებულება განსაზღვრული იყო 35 689 ლარით. შესრულებული სამუშაოს აქტის შესაბამისად, მშენებლობაზე გაწეულმა ხარჯმა ჯამში შეადგინა 35689 ლარი.

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:
- 2011 წლის 28 აპრილს შედგენილი შესრულებული სამუშაოს აქტი (ს.ფ.100-101).

3.1.18. შპს ,,დიდი დიღმის ოაზისს" და შპს ,,ევრომშენს" შორის 2011 წლის 4 მარტს შედგა შესრულებული სამუშაოს აქტი, რომლის მიხედვითაც სამუშაოები შესრულდა საცხოვრებელი კომპლექსზე ,,დიდი დიღმის ოაზისი" №1. შესრულებული სამუშაოს აქტის შესაბამისად, მშენებლობაზე გაწეულმა ხარჯმა ჯამში შეადგინა 16442,9 ლარი.

შპს ,,დიდი დიღმის ოაზისს" და შპს ,,ევრომშენს" შორის 2011 წლის 11 მარტს შედგა შესრულებული სამუშაოს აქტი, რომლის მიხედვითაც სამუშაოები შესრულდა საცხოვრებელი კომპლექსზე ,,დიდი დიღმის ოაზისი" №1 და №5. შესრულებული სამუშაოს აქტის შესაბამისად, მშენებლობაზე გაწეულმა ხარჯმა ჯამში შეადგინა 10204 ლარი.

შპს ,,დიდი დიღმის ოაზისს" და შპს ,,ევრომშენს" შორის 2011 წლის 04 მარტს შედგა შესრულებული სამუშაოს აქტი, რომლის მიხედვითაც სამუშაოები შესრულდა საცხოვრებელი კომპლექსზე ,,დიდი დიღმის ოაზისი" №1 და №5. შესრულებული სამუშაოს აქტის შესაბამისად, მშენებლობაზე გაწეულმა ხარჯმა ჯამში შეადგინა 40494 ლარი.

შპს ,,დიდი დიღმის ოაზისს" და შპს ,,ევრომშენს" შორის 2011 წლის 28 თებერვალს შედგა შესრულებული სამუშაოს აქტი №5, რომლის მიხედვითაც სამუშაოები შესრულდა საცხოვრებელი კომლექსზე ,,დიდი დიღმის ოაზისი" №5. შესრულებული სამუშაოს აქტის შესაბამისად, მშენებლობაზე გაწეულმა ხარჯმა ჯამში შეადგინა 7299 ლარი.

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- 2011 წლის 4 მარტს შედგენილი შესრულებული სამუშაოს აქტი (ს.ფ.103).
- 2011 წლის 11 მარტს შედგენილი შესრულებული სამუშაოს აქტი (ს.ფ.104).
- 2011 წლის 11 მარტს შედგენილი შესრულებული სამუშაოს აქტი (ს.ფ.105-106).
- 2011 წლის 28 თებერვალს შედგენილი შესრულებული სამუშაოს აქტი №5 (ს.ფ.108)

3.1.19 შპს ,,დიდი დიღმის ოაზისს" და შპს ,,ევრომშენს" შორის 2011 წლის 02 მაისს შედგა შესრულებული სამუშაოს აქტი №7 2010 წლის 26 ნოემბრის ხელშეკრულებასთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც სამუშაოები შესრულდა საცხოვრებელ კომპლექსზე ,,დიდი დიღმის ოაზისი" №1 და №5. შესრულებული სამუშაოს აქტის შესაბამისად, მშენებლობაზე გაწეულმა ხარჯმა ჯამში შეადგინა 12656 ლარი.

შპს ,,დიდი დიღმის ოაზისს" და შპს ,,ევრომშენს" შორის 2011 წლის 29 იანვარს შედგა შესრულებული სამუშაოს აქტი №1 2010 წლის 16 დეკემბრის ხელშეკრულებასთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც სამუშაოები შესრულდა საცხოვრებელ კომპლექსზე ,,დიდი დიღმის ოაზისი" №1. შესრულებული სამუშაოს აქტის შესაბამისად, მშენებლობაზე გაწეულმა ხარჯმა ჯამში შეადგინა 92 638 ლარი.

შპს ,,დიდი დიღმის ოაზისს" და შპს ,,ევრომშენს" შორის 2011 წლის 02 მაისს შედგა შესრულებული სამუშაოს აქტი №3 2010 წლის 16 დეკემბრის ხელშეკრულებასთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც სამუშაოები შესრულდა საცხოვრებელი კომპლექსზე ,,დიდი დიღმის ოაზისი" №1. შესრულებული სამუშაოს აქტის შესაბამისად, მშენებლობაზე გაწეულმა ხარჯმა ჯამში შეადგინა 10 787 ლარი.

შპს ,,დიდი დიღმის ოაზისს" და შპს ,,ევრომშენს" შორის 2011 წლის 26 აპრილს შედგა შესრულებული სამუშაოს აქტი №1 2011 წლის 09 მარტის

ხელშეკრულებასთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც სამუშაოები შესრულდა საცხოვრებელ კომპლექსზე ,,დიდი დიღმის ოაზისი" №2. შესრულებული სამუშაოს აქტის შესაბამისად, მშენებლობაზე გაწეულმა ხარჯმა ჯამში შეადგინა 325292 ლარი.

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:
- 2011 წლის 02 მაისს შედგენილი შესრულებული სამუშაოს აქტი №7 (ს.ფ.110).
- 2011 წლის 29 იანვარს შედგენილი შესრულებული სამუშაოს აქტი №1 (ს.ფ.114-116).
- 2011 წლის 02 მაისს შედგენილი შესრულებული სამუშაოს აქტი №3 (ს.ფ.125-126).
- 2011 წლის 26 აპრილს შედგენილი შესრულებული სამუშაოს აქტი №1 (ს.ფ.128-129)

3.1.20. 2012 წლის 29 აგვისტოს მდგომაროებით, მოპასუხის დავალიანება შპს ,,ევრომშენის" მიმართ შეადგენს 553 208.45 ლარს, საიდანაც მოპასუხემ საქმის მიმდინარეობისას გადაიხადა დავალიანების ნაწილი - 471 970 ლარი და შპს ,,დიდი დიღმის ოაზისს" დარჩა 136 558 ლარი.

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:
- 2012 წლის 29 აგვისტოს შედგენილი ურთიერთშედარების აქტი (ს.ფ.17).
- მხარეთა ახსნა-განმარტება (სხდომის ოქმი)

3.1.21. 2011 წლის 10 მარტს შპს ,,კაპიტალ ფროფერის" და შპს ,,ევრომშენს" შორის დაიდო ნარდობის ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც, შპს ,,ევრომშენმა" აიღო ვალდებულება შეესრულებინა სამუშაოები ნავთლუღის რ/გ სადგურის ტერიტორიაზე არსებული რკინა/ბეტონის კონსტრუქციების დანგრევა და გატანასთან დაკავშირებით, ხოლო დამკვეთს გაწეული მომსახურების სანაცვლოდ უნდა გადაეხადა შესაბამისი ანაზღაურება. აღნიშნული ხელშეკრულების ღირებულება მხარეთა შორის განისაზღვრა 1 მ^3-ზე 6 952 ლარით. ხელშეკრულებით გათვალისწინებული იყო პირგასამტეხლო შესრულებული სამუშაოების ღირებულების დროულად გადაუხდელობისათვის გადასახდელი თანხის 0,1%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:
- 2012 წლის 10 მარტის ნარდობის ხელშეკრულება (ს.ფ. 28-31).

3.1.22. შპს ,,კაპიტალ ფროფერთის" და შპს ,,ევრომშენს" შორის 2011 წლის 30 მარტს შედგა შესრულებული სამუშაოს აქტი, რომლის მიხედვითაც სამუშაოები შესრულდა ნავთლუღის რ/გ სადგურის რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით. შესრულებული სამუშაოს აქტის შესაბამისად, მშენებლობაზე გაწეულმა ხარჯმა ჯამში შეადგინა 24492 ლარი. შესრულებული სამუშაოს აქტზე ხელს აწერენ შპს ,,კაპიტალ ფროფერთის" და შპს ,,ევრომშენის" დირექტორები.

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:
- 2011 წლის 30 მარტის შესრულებული სამუშაოს აქტი (ს.ფ. 33).

3.1.23. 2012 წლის 29 აგვისტოს მგომრაოებით ,,კაპიტალ პროფერთის" დავალიანება მოსარჩელის მიმართ 79 015,9 ლარს.

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:
- 2012 წლის 29 აგვისტოს შედგენილი ურთიერთშედარების აქტი (ს.ფ.15).
- მხარეთა ახსნა-განმარტება (სხდომის ოქმი);

3.2. დადგენილი სადავო ფაქტობრივი გარემოებები.

3.2.1. 2011 წლის 04 მაისს შპს ,,წყნეთი ჰაუსს" და შპს ,,ევრომშენს" შორის დაიდო სამშენებლო სამუშაოების შესრულების თაობაზე ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც შპს ,,ევრომშენმა" აიღო ვალდებულება შეესრულებინა შპს ,,წყნეთი ჰაუსის" კუთვნილ ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, დაბა წყნეთში, დ. აღმაშენებლის №9-ში მშენებარე საცხოვრებელ კომპლექსის სამშენებლო სამუშაოები, წინამდებარე ხელშეკრულების თანდართული ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად. ასევე, შპს ,,წყნეთი ჰაუსს" და შპს ,,ევრომშენს" 2011 წლის 03 ოქტომბერს დაიდო ხელშეკრულება მომსახურების შესახებ, რომლის მიხედვითაც ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა შპს ,,ევრომშენის" ვალდებულება, რაც გულისხმობდა დაბა წყნეთში მშენებარე საცხოვრებელი კომპლექსის ,,წყნეთი ჰაუსის" ეზოს კეთილმოწყობას. თავის მხრივ, შპს ,,წყნეთი ჰაუსმა" აიღო ვალდებულება, გაწეული მომსახურების სანაცვლოდ შემსრულებელს გადაუხადოს შესაბამისი ანაზღაურება. 2011 წლის 30 ივნისის შეთანხმებით სამშენებლო სამუშაოების შესრულების თაობაზე ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ. რომლის მიხედვითაც, შემსრულებელმა შპს ,,ევრომშენმა" აიღო ვალდებულება, შეასრულოს შპს ,,წყნეთი ჰაუსის" კუთვნილ ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, დაბა წყნეთში, დ. აღმაშენებლის №59-ში მშენებარე საცხოვრებელი კომპლექსის ბლოკების სამშენებლო სამუშაოები (რაც პირველ ეტაპზე გულისხმობს სამ მშენებარე ბლოკზე მეოთხე სართულის დაშენებას, სამ ცვლიანი უწყვეტი მუშაობით) ხელშეკრულებაზე თანდართული ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად. ზემოთმითითებული სამუშაოების მთლიანი ღირებულება შეადგენს 1 691 107,2 ლარს.

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:
- 2011 წლის 04 მაისის ხელშეკრულება სამშენებლო სამუშაოების შესრულების თაობაზე (ს.ფ.34-39).
- 2011 წლის 03 ოქტომბრის ხელშეკრულება მომსახურების შესახებ. (ს.ფ. 41-44)
- 2011 წლის 30 ივნისის შეთანხმება სამშენებლო სამუშაოების შესრულების თაობაზე ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის შესახებ. (ს.ფ. 40)

3.1.2. შპს ,,წყნეთი ჰაუსი" და შპს ,,ევრომშენს" შორის 2011 წლის 30 აგვისტოს შედგა შესრულებული სამუშაოს აქტი №4 2011 წლის 04 ივნისის ხელშეკრულებასთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც სამუშაოები შესრულდა თბილისში, დაბა წყნეთში, დავით აღმაშენებლის ქ. №59-ში მდებარე საცხოვრებელ სახლზე. მისი ღირებულება განსაზღვრული იყო 169169,8 ლარით. შესრულებული სამუშაოს აქტის შესაბამისად, მშენებლობაზე გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 93 458 ლარი. აქტზე ხელს აწერენ შპს ,,წყნეთი ჰაუსის" და შპს ,,ევრომშენის" დირექტორები.

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:
- 2011 წლის 30 აგვისტოს შედგენილი შესრულებული სამუშაოს აქტი №4 (ს.ფ.52-53).

3.1.3. შპს ,,წყნეთი ჰაუსი" და შპს ,,ევრომშენს" შორის 2011 წლის 30 ივლისს შედგა შესრულებული სამუშაოს აქტი №2 2011 წლის 04 ივნისის ხელშეკრულებასთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც სამუშაოები შესრულდა თბილისში, დაბა წყნეთში, დავით აღმაშენებელის ქ. №59-ში მდებარე საცხოვრებელ სახლზე. მისი ღირებულება განსაზღვრული იყო 169169,8 ლარით. შესრულებული სამუშაოს აქტის შესაბამისად, მშენებლობაზე გაწეულმა ხარჯმა ჯამში შეადგინა 787 486,2 ლარი. აქტზე ხელს აწერენ შპს ,,წყნეთი ჰაუსის" და შპს ,,ევრომშენის" დირექტორები.

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:
- 2011 წლის 30 ივლისს შედგენილი შესრულებული სამუშაოს აქტი №2 (ს.ფ.55-60).

3.1.3. შპს ,,წყნეთი ჰაუსს" და შპს ,,ევრომშენს" შორის 2011 წლის 30 ოქტომბერს შედგა შესრულებული სამუშაოს აქტი №1 2011 წლის 03 ოქტომბრის ხელშეკრულებასთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც სამუშაოები შესრულდა თბილისში, დაბა წყნეთში, დავით აღმაშენებლის ქ. №59-ში მდებარე საცხოვრებელ სახლზე. მისი ღირებულება განსაზღვრული იყო 138452,63 ლარით. შესრულებული სამუშაოს აქტის შესაბამისად, მშენებლობაზე გაწეულმა ხარჯმა ჯამში შეადგინა 133 803,60 ლარი. შესრულებული სამუშაოს აქტზე ხელს აწერენ შპს ,,წყნეთი ჰაუსის" და შპს ,,ევრომშენის" დირექტორები.

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:
- 2011 წლის 31 ოქტომბერს შედგენილი შესრულებული სამუშაოს აქტი №1 (ს.ფ.62-64).

3.1.4. შპს ,,წყნეთი ჰაუსს" და შპს ,,ევრომშენს" შორის 2011 წლის 29 ნოემბერს შედგა შესრულებული სამუშაოს აქტი №5, რომლის მიხედვითაც შპს ,,ევრომშენის" მიერ სამუშაოები შესრულდა თბილისში, დაბა წყნეთში, დავით აღმაშნებელის ქ. №59-ში მდებარე სამ სართულიან საცხოვრებელ კომპლექსზე. №5

შესრულების აქტით გათვალისწინებული იყო სამუშაოები საცხოვრებელ კომპლექსზე მანსარდის სართულის დაშენებით. შესრულებული სამუშაოს აქტის შესაბამისად, მშენებლობაზე გაწეულმა ხარჯმა ჯამში შეადგინა 513 125,1 ლარი. შესრულებული სამუშაოს აქტზე ხელს აწერენ შპს ,,წყნეთი ჰაუსის" და შპს ,,ევრომშენის" დირექტორები.

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:
- 2011 წლის 29 ნოემბერს შედგენილი შესრულებული სამუშაოს აქტი №5 (ს.ფ.66-74).

3.1.5 2012 წლის 29 აგვისტოს მდგომარეობით შპს ,,წყნეთი ჰაუსის" დავალიანება შეადგენს 564 446,14 ლარი.

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:
- 2012 წლის 29 აგვისტოს შედგენილი ურთიერთშედარების აქტი (ს.ფ.24).
- მხარეთა ახსნა-განმარტება (სხდომის ოქმი).

სამოტივაციო ნაწილი

4. შემაჯამებელი სასამართლო დასკვნა

ნარდობის ხელშეკრულების საფუძველზე მენარდე ვალდებულია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო, ხოლო შემკვეთის ვალდებულია აუნაზღაუროს მას შესრულებული სამუშაოს ღირებულება. მოცემულ შემთხვევაში, სასამართლომ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების შეფასების შედეგად დადგენილად მიიჩნია, რომ მხარეთა შორის გაფორმებული ურთიერთშედარების აქტის საფუძველზე დადგენილია შესრულებული სამუშაოების ღირებულებიდან გამომდინარე მოპასუხეთა დავალიანების ოდენობა მოსარჩელის მიმართ. შესაბამისად, მოსარჩელე უფლებამოსილია, ხოლო მოპასუხე ვალდებულია აუნაზღაუროს მას შესრულებული სამუშაოს ღირებულება.

დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლოს მიაჩნია, რომ სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს.

5. კანონები, რომლებითაც სასამართლომ იხელმძღვანელა
საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 316-ე, 317-ე, 629-ე; 649, 417-ე; 418-ე მუხლები

6. სამართლებრივი შეფასება

6.1. სსკ-ის 316-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად ვალდებულების ძალით კრედიტორი უფლებამოსილია მოსთხოვოს მოვალეს რაიმე მოქმედების შესრულება.

შესრულება შეიძლება გამოიხატოს მოქმედებისაგან თავის შეკავებაშიც.

ამავე კოდექსის 317-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია მონაწილეთა შორის ხელშეკრულება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ვალდებულება წარმოიშობა ზიანის მიყენების (დელიქტის), უსაფუძვლო გამდიდრების ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლებიდან.

განსახილველ შემთხვევაში, მხარეებს შორის ვალდებულების წარმოშობის საფუძველს წარმოადგენს ნარდობის ხელშეკრულებები.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 629-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ნარდობის ხელშეკრულებით მენარდე კისრულობს შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო, ხოლო შემკვეთი ვალდებულია გადაუხადოს მენარდეს შეთანხმებული საზღაური.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 649-ე მუხლის თანახმად, თუ ხელშეკრულების თანახმად ან შესრულებული სამუშაოს ხასიათიდან გამომდინარე, საჭიროა მისი გადაცემა, მაშინ შემკვეთი მოვალეა მიიღოს შესრულებული სამუშაო. მიღებისთანავე შემკვეთი ვალდებულია გადაიხადოს საზღაური.

დადგენილია, რომ მოპასუხეებს ნარდობის ხელშეკრლებიდან გამომდინარე ვალდებულება შესრულებული სამუშაოების ღირებულბის ანაზღურების შესახებ არ შეუსრულებიათ. შესაბამისად, სარჩელის საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს.

6.2. სამოქალაქო კოდექსის 417-ე მუხლის თანახმად, პირგასამტეხლო იყო მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ფულადი თანხა, რომელიც მოვალეს უნდა გადაეხადა ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის.

ამავე კოდექსის 418-ე მუხლის თანახმად, ხელშეკრულების მხარეებს შეეძლოთ თავისუფლად განესაზღვრათ პირგასამტეხლო, რომელიც შეიძლება აღემატებოდეს შესაძლო ზიანს.

საქმის მასალებით დადგინდა, რომ შპს ,,ევრომშენსა" და შპს ,,კაპიტალ პროფერთი" შორის 2011 წლის 10 მარტის ხელშეკრულებით გათვალისწინებული იყო პირგასამტეხლო, კერძოდ, ხელშეკრულების 5.3. პუნქტის თანახმად, თუ დამკვეთი - შპს ,, კაპიტალ ფროფერთი" დააგვიანებს საბოლოო ანგარიშსწორებას შემსრულებელთან შესრულებული სამუშაოებისათვის, მას ეკისრება საურავი დროულად გადაუხდელი თანხის 0,1%-ს ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

ამრიგად, სასამართლო მიიჩნევს, რომ შპს ,,კაპიტალ ფროფერთისათვის"

პირგასამტეხლოს სახით 7901,59 დაკისრების მოთხოვნა, საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს.

7. საპროცესო ხარჯები

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. აღნიშნული ნორმის შესაბამისად, მოპასუხე შპს ,,წყნეთი ჰაუსს" უნდა დაკისროს სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 3600 ლარი, მოპასუხე შპს ,,დიდი დიღმის ოაზისს" უნდა დაეკისროს სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 850 ლარის გადახდა, ხოლო შპს ,,კაპიტალ ფროფერთის" მოსარჩელის სასარგებლოდ 550 ლარის სახელმწიფო ბაჟის გადახდა.

სარეზოლუციო ნაწილი

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-8, 243-ე, 244-ე, 257-ე, 367-ე, 369-ე მუხლებით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. შპს ,,ევრომშენის" სარჩელი დაკმაყოფილდეს.

1.1. დაეკისროს მოპასუხე შპს ,,წყნეთი ჰაუსს" შპს ,,ევრომშენის" სასარგებლოდ დავალიანების თანხის 564446,14 ლარის გადახდა.

1.2. დაეკისროს მოპასუხე შპს ,,დიდი დიღმის ოაზისს" შპს ,,ევრომშენის" სასარგებლოდ დავალიანების თანხის 136 558 ლარის ოდენობით.

1.3. დაეკისროს მოპასუხე შპს ,,კაპიტალ ფროფერთის" შპს ,,ევრომშენის" სასარგებლოდ 86917,49 ლარის გადახა, საიდანაც 79 015,9 ლარი ძირი თანხაა, ხოლო 7901,59 ლარი პირგასამტეხლო.

2. მოპასუხე შპს ,,წყნეთი ჰაუსს" შპს ,,ევრომშენის" სასარგებლოდ დაეკისროს 3600 ლარის გადახდა სარჩელზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ანაზღაურების მიზნით.

3. მოპასუხე შპს ,,დიდი დიღმის ოაზისს" შპს ,,ევრომშენის" სასარგებლოდ დაეკისროს 850 ლარის გადახდა სარჩელზე გადახდილი სახელმიწფო ბაჟის ანაზღაურების მიზნით.

4. მოპასუხე შპს ,,კაპიტალ ფროფერთის" შპს ,,ევრომშენის" სასარგებლოდ დაეკისროს

550 ლარის გადახდა სარჩელზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ანაზღაურების მიზნით.

5. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოში დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 14 დღის ვადაში, სარეზოლუციო ნაწილის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული წესების დაცვით თბილისის საქალაქო სასამართლოს მეშვეობით.

6. გადაწყვეტილების გასაჩივრების მსურველი მხარე, თუ ის ესწრება გადაწყვეტილების გამოცხადებას ან მისთვის ცნობილია გადაწყვეტილების გამოცხადების თარიღი, ვალდებულია გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არა უადრეს 20 და არა უგვიანეს 30 დღისა, გამოცხადდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში და ჩაიბაროს გადაწყვეტილების ასლი. წინააღმდეგ შემთხვევაში გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყება გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 30-ე დღეს. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია.

მოსამართლე ეკატერინე ცისკარიძე

ასლი დედანთან სწორია
თბილისის საქალაქო სასამართლოს
სამოქალაქო საქმეთა კოლეგია
ხელმოწერა:
20 წ.

401193
03 დეკ 2013 12:51

აღსრულების ეროვნულ ბიურის
თბილისის სააღსრულებო ბიურო

კრედიტორი: შპს ევრომშენი (208156494)
მისამართი: საქართველო, ქ. თბილისის სამგორის რაიონში, ენუქიძის,№9
წარმომადგენელი: ავთანდილ ნეფარიძე (01011009763)
მისამართი: თბილისი ქ.ჩოლოყაშვილის ქ. I კვ. კორ. 4 ბ. 47
საკონტაქტო ინფორმაცია: 599572747;595741147

განცხადება

იძულებითი აღსრულების მიზნით სააღსრულებლო დოკუმენტის წარმოებაში მიღების შესახებ.

იძულებითი აღსრულების მიზნით, წარმოგიდგენთ სააღსრულებლო ფურცელს. გამომცემი ორგანო: თბილისის საქალაქო სასამართლო ; სააღსრულებო ფურცლის ნომერი: 2/16574-12; სააღსრულებო ფურცლის გამოცემის თარიღი: 15.07.2013.

გთხოვთ, სააღსრულებო ფურცელი მიიღოთ წარმოებაში და აღასრულოთ მოთხოვნა: შპს წყნეთი ჰაუსს დაეკისროს 564446.14 ლარის და 3600 ლარის გადახდა.
შპს კაპიტალ ფროფერთის დაეკისროს 7901.59 ლარის და 550 ლარის გადახდა.

კრედიტორი: შპს ევრომშენი(208156494)
მისამართი: საქართველო, ქ. თბილისის სამგორის რაიონში, ენუქიძის,№9
საბანკო რეკვიზიტები: სს საქართველოს ბანკი (BAGAGE22), GE88BG0000000121204800
მოთხოვნა:

576497.73 GEL

მოვალე: შპს დიდი დიღმის ოაზისი (211361881)
მისამართი: საქართველო, თბილისი, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი, დავით აღმაშენებლის გამზირი, №150

მოვალე: შპს წყნეთი ჰაუსი (205193011)
მისამართი: საქართველო, თბილისი, ვაკე–საბურთალოს რაიონი, დაბა წყნეთი, დავით აღმაშენებლის ქ., №9,თბილისი,ჯიქიას N 7

მოვალე: შპს კაპიტალ ფროფერთი (404384055)
მისამართი: საქართველო, ქ.თბილისი ძველი თბილისის რაიონი, მარჯანიშვილის ქ.,№6,თბილისი.აღმაშენებლის გამზ.N 150

სხვა დამატებითი ინფორმაცია მოვალის საბანკო ანგარიშებისა და ქონებრივი მონაცემების შესახებ:

განცხადებაზე თანდართული დოკუმენტები:

- სააღსრულებო ფურცელი
- გადაწყვეტილება
- საბანკო რეკვიზიტი

შენიშვნა: კრედიტორი აზუსტებს მოთხოვნას და არ ითხოვს აღსრულებას შპს დიდი დიღმის ოაზისის მიმართ,ხოლო შპს კაპიტალ ფროფერთის მიმართ ითხოვს მხოლოდ პირგასამტეხლოს.

გადახდილი საფასურის ოდენობა: 11529.95 ლარი.

კრედიტორი:----------/ შპს ევრომშენი / წარმომადგენელი:----------/ავთანდილ ნეფარიძე/

განცხადების წარდგენის თარიღი: 03 დეკ 2013 12:51